

572  
1965.

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
ბიბლიოთეკა



1965 01 28 16 33 00

საბავშვო  
საზოგადოებრივი  
ბიბლიოთეკა

№ 2

23



# კა ქაქაქუი

აკრო მხელი

ერთხელ ვია მამამ  
ქალაქს წაიყვანა;  
დილის სიო ჰქროდა,  
ბიბინებდა უანა.

გაიარეს მშვიდად  
ქართლის დიდი ველი,  
აღარ ზრიალებდა  
ნამკალი და ცელი.

კომბინი იდგა  
როგორც კეში ზღვაზე,  
იდგა ტომრის გორა  
ოქროს სორბლით სავსე.


აი, ატერ მცნეთა,  
ზედასენი, ვუბარი...  
საუფარელი დები—  
არაგვი და მტკვარი.

ჩაუქროლეს საჭმის,  
თვალი მოჰკრეს დილომს;  
— სელმარცსნიე რომ ბრწყინავს  
ას რა უნდა იეოს?

ცხდ ატორცნილ მილეებს  
ასდიოდა ბოლი,  
მთაწმინდაზე ერთ კომეს  
არა ჰუაყდა ტოლი.

მამამ უთხრა სიტყვა  
სიყვარულით თქმული:  
— თბილისია, შვილო,  
საქართველოს კული!

ნახატები თინათინ სამსონაძისა



საქართველო  
საზოგადოებრივი  
საბავშვო ჟურნალი

056

საქართველო  
საზოგადოებრივი  
საბავშვო ჟურნალი

# მღთსკრობები პია ლენინში

ეს მოხდა 1919 წელს. მუშახელი პირდა-  
ხაზოთა ხელისუფლების დასაცავად მრავალი  
ალამიანი წავიდა წითელ არმიასი. ფაბრიკა-ქარბ-  
ნებს კი შეუფერხებლად უნდა ემუშავა.  
და აი, კომუნისტებმა გადაწყვიტეს კვირეულ-  
დან დამატებით ერთი დღე უსასყიდლოდ ეშრო-  
მათ.

შაბათი დღე აირჩიეს.  
კომუნისტებს სხვა მუშებმაც მიხაძეს.  
მუშაობდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინი-  
გზაზე, ქუჩებსა და ეზოებში.  
სხვებთან ერთად, შაბათობაზე მუშაობდა ვლადიმერ ილიჩიც.  
ამ შაბათობას სწორად იგონებენ ძველი მუშები.  
აი, რა გვიამბოვ ერთმა მუშამ...



## ილიჩი შაბათობაზე

ერთხელ მოდის მამაჩემი და მეუბნება:  
— იცი, დღეს ჩვენთან ერთად ვინ  
მუშაობდა?—ვლადიმერ ილიჩი. იგი გა-  
მოვიდა და მუშებს ასე მიმართა:

— მოდი, ეს მორი ერთად ავწიოთ!  
— უთქვენილდაც გავუძღვებით ამ საჭ-  
მეს, ვლადიმერ ილიჩ, —უთხრეს თურმე  
მუშებმა,—მიბრძანდი, თქვენ უფრო  
დიდი საქმეები გაქვთ.

— ეს მნიშვნელოვანი სამუშაოა,—  
მიუგო თურმე ვლადიმერ ილიჩმა,—ყვე-  
ლა უნდა მონაწილეობდეს.

— თუ შეიძლება, ვლადიმერ ილიჩ,  
ეს სამუშაო ჩვენ მოგვანდეთ.

ლენინი კი მუშაობას თავს არ ანებებ-  
და.

— აი, ასე იყო, შვილო,—დაასრულა  
მამამ,—ლენინთან ერთად ვმუშაობდი  
შაბათობაზე.

— მამა,—ვეუბნები მე,—წამიყვანე რა  
კრემლში, ძალიან მინდა ილიჩის ნახვა.

— კარგი, როგორც კი დროს შევეუ-  
რჩე, წაგიყვან.

\* \* \*

ერთხელ ბრუნდება მამა შინ და მეუბ-  
ნება:

— დღეს კრემლში საღამოს მართავენ,  
ორი ბილეთი მაქვს, შენც წაგიყვან.

სიხარულით ვხტო და მამას ვეხვევი.

— ლენინი იქნება?

— შეიძლება იყოს, დანამდილეობით  
არ ვიცი.

მალალ კოშკებს გავცდით, გადავიარეთ  
ხიდი და კიშკარში შევედით.

კრემლში თვალები გამიბრწყინდა.  
ყველგან სისუფთავეა, თითქოს იქაურო-  
ბა მოურეცხავთო.

„ეს ილიჩია,—ფეიქრობ ჩემთვის,—მან  
შაბათობაზე ყველას მაგალითი უჩვენა“.

\* \* \*

საღამოზე ბავშვები პირველ რიგში  
იხსნენ.

გამოვიდა ვლადიმერ ილიჩი.

სიტყვა დაამთავრა და ბავშვებს შორის  
ჩაჯდა.

ყველა ცდილობდა წესიერად ყოფი-  
ლიყო. ილიჩი იცინოდა.

— ასეთი წყნარი ბავშვები ხართ?

მის გვერდით გოგონები და ბიჭუნები  
იხსნენ. მე კი ცოტა მოშორებით ვიყა-  
ვი და მშურდა მათი.

ნახატი რეპაზ სუსეირიძისა



ნახატები ლიონიკი ხარაუნივილის

პეზარ კვიციანი

## დათუნია

ხეზე ადის თაფლით მთვრალი,  
ბუზლუნებს და ხვნეშის,  
ვაი დათუნიას ბრალი,  
თუ დაგორდა ხევში!

კოტრიალით წავა დაბლა,  
თუ მოუტყდა ტოტი,  
ვინდა ჭამოს მაშინ თაფლი,  
ვინ ატეხოს შფოთი?!

## ზისო

რძიან ქვაბში ჩაჰყო თავი  
უსინდისო ფისუნია,  
ხარბია და უნახავი,  
ცხვირზე ახლა რძის სუნი აქვს.







ნახატები ზურაბ კახანიძისა

ქართული ხალხური ზღაპარი

ერთ მჭევრელს ძალიან ზარმაცი შვილი ჰყავდა. არაფერს არ აკეთებდა. უსაქმოდ დაყვილობდა დღე და ღამე. მამამისს სანამ ძად-ღონე ჰქონდა, აკმევდა, ასმევდა და აცმევდა, მაგრამ მალე დაბერდა და დაუძღვრდა.

წიგს ავადმყოფი და შვილის დარღი უფრო აწუხებდა.

ბოლოს იხმო ცოლი და უთხრა:

— რა გქნათ, ეს ბიჭი ზარმაცი და უქნარა გაგვებარდა. თუ შრომა არ ისწავდა, მთელს ჩემს ქონებას ვინმე უცნოს ვუანდერძებ, ჩვენი შვილი მაინც ვერ მოუვლის და გააჩანაგებს, ერთი შაურის შოვნაც კი არ შეუძლია.

გწყინა ცოლს:—როგორ თუ არ შეუძლია?!

— აბა, თუ შეუძლია, წავიდეს, იშოვოს და მოიტანოს,—უთხრა ქმარმა.

გამოვიდა ცოლი, მისცა შვილს შაურიანი და დაარიგა:

— წადი, შვილი, მთელ დღეს ნუ გამოჩნდები,

სალამოს მოვი, მიეცი მამას ეს შაურიანი და უთხარი, რომ იშოვე თორემ ისეა გაბრაზებული, სახლ-კარსაც არ დაგიტოვებს.

წავიდა შვილი. მთელი დღე უსაქმოდ იარა. სალამოს მოვიდა, გაუწოდა მამას შაურიანი და უთხრა:

— მთელი დღე ვიშრომე და ეს ფული მოვიტანე.

აიღო მამამ შაურიანი, დახედა, ბუხარში შეაგდო და შვილს მიუბრუნდა:

— ეს შენ არ გიშოვიაო!

ბიჭმა გაიცინა და გავიდა არხვინად.

შეწუხდა დედა, მართლა არ დატოვოს შვილი უსაზღ-კაროდ ამ მოხუცმაო. შვილს კიდევ მისცა შაურიანი და ასწავდა:

— წადი, თუნდაც მთელი დღე უსაქმოდ იარე, ოღონდ სალამო ხანს ირბინე, დიდ ხანს ირბინე, დაღლილი და გაოფლილი რაცა მოხვად, იქნებ დაგიჯეროს, რომ შენ თვითონ იშოვე ეგ შაურიო.

წავიდა შვილი. მთელი დღე უსაქმოდ იყრიდა-  
ხალამოს კი ნაიბენი, გაოფლილი შევარდა მა-  
მასთან, გაუწოდა ფული და უთხრა:

— ოფლით ვიშოვე ეს შაურჩიანიო.

აილა მამამ ფული, შეათვად-შემოათვადიერა  
და ბუხარში შეუძახა:

— ვერ მომატყუებ, შვილო, ეს შენ არ გი-  
შოდიო!

გაციონა შვილმა და გავიდა. აინუნშიც არ  
ჩააგღო ფულის დაკარგვა.

მიხვდა დედა, ცუდადაა საქმეო და კვდავ მოიხ-  
მა ვაჟი.

— რა გქნა, შვილო, ხომ ხედავ, ვერ მოვატ-

ყუთ მამაშენი. წადი, იმუშავე, შენი ადრე  
შრომით მოიტანე ფული. დღეში რომ, სულ ცოტა,  
ორი-სამი კაპიკი იშოვო, ერთ კვირაში კარგად  
დაგიგროვდება და მამაშენსაც გაახარებო.

დაუჯერა შვილმა. წავიდა, ხან ტვირთი გა-  
დაუზიდა ხაღბს, ხან შეშა დაუპო, ხან რა და ხან  
რა, ხოლო როცა ხუთი შაური დააგროვა, დაბ-  
რუნდა შინ და მისცა მამას.

დახვდა მამამ შაურიანებს და სულ ბუხარში  
შეყარა.

— არა, ეგ შენ არ გიშოვიო.

გამწარდა შვილი. მივირდა ბუხარს, სულ ხე-  
ლით გამოკრიფა ნაღვერიდან ფული და თან  
მამას ეუბნებოდა:

— რას შვრები, მამავ, მთელი კვირა ვიწვადე  
ამ ფულისათვის და შენ კი ჩემს ნაშრომს ცუბლ-  
ში ჰყრიო?

მაშინ მამამ მიუგო:

— აი, ახლა კი მჯერა, შვილო, რომ ეგ ფული  
შენი ნაშოვიო. ხომ ხედავ, როგორ გეტყინა  
გული. დაიხსოვებ: იშრომებ და გექნება, არ იშრო-  
მებ და შიმშილით მოკვდებიო.

ასე გამოემშვიდობა შვილს მამა და მთელი  
თავისი ქონება დაუტოვა.



# კუთხოვოს კანქოს

მეხალა მკვლითელი


ჭანჭიკელას დობილი  
კვანწი-გოგო მოვიდა!  
აი, რაზე ტიტინებს  
თავის მიკროფონიდან:

«საუამაშო თუ გინდათ  
თქვენი ხელით აკეთოთ,  
თოჯინებო, ბავშვებო,  
აქეთ მოდიოთ, აქეთო!»

ცოტა-მატა ვიშრომით,  
ხელსაქმესაც გასწავლით,  
წიკო-მაკოს კეთებას  
ათასგვარი მასალით.

სულ, სულ თქვენთან ვიქნები,  
წასვლას არა ვფიქრობო!»  
იფ, დღეიდან ვუსმინოთ,  
კვანწი გოგოს მიკროფონს!

გამოცანა—გიყვარდეს!  
გასართობი—რამდენი!  
ზღაპრები და  
ზღაპრები  
ბევრი,  
თავზე საყრელი!





ცხოვრობდნენ გარაკში მამა ავტობუსი, დედა ავტობუსი და მათი ბიჭუნა პაწია ავტობუსი. ყოველ დღილით სა- მივე ისხამდა ბენზინს, ზეთს, წყალს და მთელი დღე გა- დასკვდათ და ვადმოჰყავდათ მგზავრები სოფლიდან დიდ ზღვისპირა ქალაქში და ქალაქიდან სოფელში.

იქით და აქეთ, აქეთ და იქით...

პაწია ავტობუსის მხოლოდ დღისით მოგზაურობდა, ღამე კი არასოდეს, რადგან ძალიან ეშინოდა სიბნელის.

და აი, დედამ უთხრა:

— მომისმინე, პაწიავე, დიდი ხნის წინათ სიბნელეს ძალიან ეშინოდა ავტობუსების. დედა სიბნელემ თავის შვილს პატარა სიბნელეს უთხრა: «ნუ გეშინია ყველაფ- რის! მალე საღამო დადგება, თუ დედამიწაზე დაბრუნე- ბის შეგეშინდება, მაშინ იქ აღამიანებს არ ეცოდინებათ, რომ უკვე ძილის დროა. ვარსკვლავებსაც არ ეცოდინე- ბათ, რომ დროა ამობრწყინდნენ, სულ სინათლე იქნება, აღარ დაღამდება. აბა, თამამად, გასწი დედამიწისაკენ!» გაამხნევა დედამ პატარა სიბნელე.

პატარა სიბნელე, რომელიც მთელი დღე მზის ზურგს უკან იმალებოდა, საღამოს ნელ-ნელა დაეშვა დედამიწა-



ქრისტეშვილი  
გიორგი რიჭვა

# პაწია ავტობუსი, როჰაილას სინათლის უნილი

ვერ მოასწრო, რომ გუგუნით ჩაუქროლა რომელიღაც ავტობუსმა, რა მოულოდნელი იყო!

მაგრამ სიბნელეს არ შეეშინდა. პირიქით, მოეჩვენა, რომ ასე უფრო სახალისო იყო მგზავრობა.

მერე ბნელ ქუჩაში კიდევ ზედიზედ ჩაიქროლა რამდე- ნიმე ავტობუსმა. ყველა ავტობუსი გაჩირალდნებული იყო. აღამიანები ავტობუსებში ყიდულობდნენ ბილეთებს, დგე- ბოდნენ, სხდებოდნენ, ერთი სიტყვით, მშვენივრად ატა- რებდნენ დროს.

მოგვიანებით, როცა მთავარ ამოვიდა, სიბნელე დამა- ლობანას ეთამაშებოდა სახლებს.

ღილით კი მზე ამობრწყინდა და სიბნელე ისევ თავის დედასთან გაგზავნა. მას შემდეგ სიბნელეს სულ აღარ ეშინოდა ავტობუსების.

როცა დედა ავტობუსმა დაასრულა ამბავი, პაწია ავტო- ბუსმა თქვა:

— ახლა მეც მზად ვარ გასამგზავრებლად!

სწორედ ამ დროს მოვიდა მძღოლი, აამუშავა ძრავა, ავტობუსში აიწით სინათლე და მგზავრები თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. მერე მძღოლმა საყვირი აახშინა და პაწია ავტობუსი პირდაპირ სიბნელეში გაეშურა. მა- ლალი ფერდობიდან დაეშვა ძირს, დიდი ზღვისპირა ქა- ლაქისაკენ.

ზე. გზებზე აქეთ-იქით დაჰქროდნენ ავტობუსები. პატარა სიბნელემ მხნეობა მოიკრიბა და უფრო ძირს დაეშვა. ქუ- ჩებში აანთეს ნათურები, ავტობუსების მძღოლებმაც ჩარ- თეს სინათლე თავიანთ მანქანებში.

სიბნელე სულ უფრო ძირს ეშვებოდა და გონს მოსვლა



# ფოლადი

პურაბ შანგიძე

ნახატები ზურაბ რაზმაძისა

ფოლადს უძველესი დროიდან იცნობდა ქართველი კაცი. მრავალი ასეული წლის წინათ საქართველოში ადნობდნენ საუკეთესო ფოლადს და ხმლებს ამზადებდნენ. ამჟამად იმ ხმლების ნიმუშები მსოფლიოს მრავალ მუზეუმში ინახება.


დღეს კი ფოლადმა უფრო დიდი გამოყენება პოვა.

ფოლადისაგან ამზადებენ ლიანდაგებს, მილებს, ტრაქტორებს, ელმავლებს, ვაგონებს, დაზგებს, ავტომობილებს, რაკეტულ დანადგარებს და ვინ იცის კიდევ რას.

განა თქვენ კი არ ხმარობთ უოველდღიურად ფოლადის ზელსაწყოებს? კალამი, რომლითაც თქვენ წერთ, ფოლადისაგან მზადდება. დანა-ჩანგალი, თქვენ რომ ქამის დროს ხმარობთ, ისიც ფოლადისაგან არის გაკეთებული.

უველამ როდი იცის, რა არის ფოლადი, მეტალურგია.

იქნებ გეუცხოვთ სიტყვა „მეტალურგია“? ამ სიტყვის შინაარსსაც გაგაცნობთ. ქვეყანაზე მრავალი მეტალი არსებობს: ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი. ამ მეტალებისაგან შენადნობის მიღებას მეტალურგია ეწოდება, ხოლო ქარხნებს,



სადაც მეტალებს აღნობენ, მეტალურგიული ქარხნები მშენიან.

აქ კიდევ ერთი უცნობი სიტყვა შეგვხვდა— შენადნობი.

ლითონი სუფთა სახით იშვიათად გამოიყენება. მასთან ყოველთვისაა შედნობილი რაიმე ნივთიერება. ეს ლითონს გარკვეულ თვისებებს ანიჭებს.

ფოლადში მთავარი ადგილი უჭირავს რკინას. სუფთა რკინა სუსტია და თითქმის გამოუსადეგარი.

მიწის წიაღში უხვად მოიპოვება რკინის მადანი. რკინის მადანი რკინის უნდგისა და სხვა მრავალი მინარევის შენაერთია. თავდაპირველად რკინის საბადოებიდან იღებენ მადანს. შემდეგ კი მიაქვთ მეტალურგიულ ქარხნებში. აქ მადანს, კოქსთან ერთად, ყრიან ბრძმედებში. კოქსი არის დამუშავებული და გამდიდრებული ქვანახშირი. ბრძმედში მალალ ტემპერატურაზე რკინა მავენ მინარევეებისაგან თანდათან თავისუფლდება და თუჯი მიიღება. შემდეგ თუჯი მიაქვთ მარტენის ლუმელებში. აქ კვლავ გადაამუშავებენ და ფოლადად აქცევენ.

მარტენის ლუმელები უდიდესი ლუმელებია. რუსთავის მარტენის თითოეულ ლუმელში ერთ ჯერზე 125 ტონა ფოლადი დნება. არსებობს ხუთასტონიანი ლუმელებიც, ხოლო მარტენის საამქროს სიგრძე ზოგჯერ კილომეტრზე მეტია.

ფოლადს ძალზე მალალ ტემპერატურაზე აღნობენ. მავალითაღ: წყლის ასადულებლად საჭიროა ასი გრადუსი ტემპერატურა, ფოლადის გამოსადნობად კი ათას შვიდასი გრადუსი ტემპერატურაა საჭირო.


აღნობა გაგივირდებთ თუ ამ ტემპერატურაზე ფოლადიც კი დნება, მაშ რისგანაა აშენებული ლი ლუმელი, რომელიც ასეთ დიდ სიმსურველეს უძლებს?

ბრძმედი და მარტენის ლუმელები აშენებულია ცეცხლგამძლე აგურებისაგან.

რაკი ბრძმედი და მარტენის ლუმელი ამუშავდება, შემდეგ მისი ვაჩერება აღარ შეიძლება. ასეთი მალალი ტემპერატურის შემდეგ, ლუმელს თუ გავაცივებთ, იგი დაიმსხვრევა, ამიტომ ლუმელები დღე და ღამე მუშაობენ.

მარტენის ლუმელში გამომდნარ ფოლადს შესაფერ კურტულბში ასხამენ. შემდეგ კი დააღუშავებენ და ამზადებენ ათჯგვარ საჭირო საგნებს. ამზადებენ საჭაროველოში რამდენიმე მეტალურგიული ქარხანაა. მათ შორის გამოირჩევა რუსთავის მძლავრი მეტალურგიული ქარხანა.

ჩვენი ქვეყნის მეტალურგია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელ მსოფლიოში.



# მეგობრები



## შიძრია შარაზლიშვილი

ბატარა ნინოს ძილში ხმაური შემოვს-  
მა. თვალები გაახილა, საწოლზე წამოჯ-  
და და მიიხედ-მოიხედა. ოთახში არავინ  
იყო. გაკვირვებულმა გოგონამ მხრები

აიჩინა. მაგიდაზე იდო ჩანთა. უცნაური  
ხმა ჩანთიდან მოისმოდა.

— ყველაზე ძალიან მე ვუყვარვარ ნი-  
ნოს, — გაიძახოდა ხმამაღლა „ღეღა ენა“ —  
აბა, ნახეთ, რა თეთრ ქალაქში გამახ-  
ვია!

— არაფერიც! შენ კი არა, მე უფრო  
ვუყვარვარ, — აშრილდა რვეული, — და-  
ხეთ, რა ლამაზად დაწერილი ფურცლები  
მაქვს, არსად პაწაწა ლაქაც არ მემჩნევა.

— როგორ არა, როგორ არა, — აწრი-  
პინდა კალმისტარი, — თქვენზე მეტად მე  
ვკირდები. აბა, ნახეთ, როგორ მივლის.  
როცა წერას მორჩება, ისე გამიკრიალებს  
წვერს, თითქოს ახალთახალი ვიყო.

— ჩუმად, მეგობრებო, ტყუილებრა-  
ლოდ ნუ დაობთ, თქვენ ყველანი შეიძ-  
ლება უყვარხართ, მაგრამ უფრო საჭირო  
მე ვარ! — დიდგულად წამოიძახა ჩანთამ.

— რასა ბრძანებ?! — კვლავ აყვირდა  
წიგნი. კალამმა წრიპინს უმატა და რვეუ-  
ლი ისე აშრილდა, რომ თავი ვეღარ  
შეიკავა და ჩანთიდან ძირს ჩამოფრინდა.

ნინოსა გულთანად გაეცინა. ძირს და-  
ვარდნილი რვეული აიღო და ჩანთაში  
ჩადო. მოჩხუბრები გაჩუმდნენ და ნინოს  
მოაჩერდნენ.

— აბა, რა გაჩხუბებთ, განა არ იცით,  
რომ მე თქვენ ყველა ერთნაირად მიყ-  
ვარხართ?! „ღეღა ენა“ რომ არ მქონ-  
დეს, აბა, როგორ ვისწავლიდი? რვეუ-  
ლო, შენ რომ არა, შევძლებდი განა ანა-  
ბანას ლამაზად წერას? კალმისტარი თუ  
არ მექნება, რითი დავწერ? ჰოდა, „ღეღა  
ენაც“, რვეულიცა და კალმისტარიც ამ  
ლამაზი ჩანთით დამაქვს სკოლაში. ახლა  
ხომ ხედავთ, რომ თქვენ, ყველა, ჩემ-  
თვის საჭირო და ერთგული მეგობრები  
ხართ, — უთხრა ნინომ მოჩხუბრებს და  
სიყვარულით გადაუსვა ჩანთას ხელი.



გოგონები, ბიჭუნები,  
სულ ყველანი აქ არიან,  
ციგურებით სრიადებენ,  
ბათხული თუ ზამთარია!  
აქეთ — იქეთ რა ხადისით,  
რა ყოჩაღად მიმოჰქრიახ,

ნელი დღის ეჯობრება,  
გოგი კოტეს, მიტო გიას.  
ჰე, ყინულზე რა ზოლია?—  
ციგურების ნაქარგია,  
ოსტატები განდებიან  
რა კარგია, რა კარგია!





# მადე - მასწავლებელი

პალმა ახვალნიანი

ნახატები ზურაბ შორაჩიძისა

ერთმა ქარაფშუტა და უქნარა კრუხმა  
 თავისი შვიდი წიწილა მელას მიაბარა აღსაზ-  
 რდელად. მელასაც ეს უნდოდა. წაიყვანა წი-  
 წიდეები სოროში და აღბრდა დაუწყეო.  
 პირველ წიწილას ექვსამდე ასწავდა თვდა.  
 მეორეს—ხუთამდე.  
 მესამეს—ოთხამდე.  
 მეოთხეს—სამამდე.  
 მეხუთეს—ორამდე.  
 მეექვსეს—ერთამდე.  
 მეშვიდეს—კი არაფერი არ ასწავდა,  
 უცოდინარი დატოვა.  
 მიდიოდა დრო.  
 მაგრამ პირველისთვის მხოლოდ ექვსი დღე  
 გავიდა, მეორისთვის კი გავიდა ხუთი დღე,  
 რადგანაც მხოლოდ ხუთამდე იცოდა თვდა.  
 მესამემ თვდა, თვდა და ოთხი დღე გა-

მოუვიდა, იფიქრა აღბათ ოთხი დღე გავი-  
 დაო.  
 მეოთხისთვის კი—სამჯერი დაღამდა და  
 გათენდა.  
 მეხუთისთვის—ორჯერი ამოვიდა დიდი მზე.  
 მეექვსისთვის—ერთხედ.  
 მეშვიდისთვის კი არც ერთი დღე არ გა-  
 სულა, იგვიე დღე იყო. მეშვიდემ თვდა არ  
 იცოდა და დღეებს აბა, როგორ დავიფიქრი-  
 და?! მელისა მოშვიდა. მოიხმლა შვიდი წი-  
 წილა და სათვალე გაიკეთა. მეღა-მასწავლე-  
 ბერი გამოცდას იბარებდა. მას, რასაკვირვე-  
 ღია, შეეძლო უგამოცდოდ გადაესანსლა შვი-  
 დივე, მაგრამ არ უნდოდა სხვა კრუხებისა  
 და წიწილების წინაშე სამართარი გაუშუქ-  
 ბოდა.  
 მელამ დაუჭა ამოცანა დაწერა: წიწილე-

ბო, დედათქვენიმა კრუხმა თქვენი თავი მე მომბაბარა აღსაბრუნებლად. გაბზაუბულზე შვიდნი იყავით. მთელი ზაფხული თქვენზე ვბრუნავდი: გაქმევედით და გაზაურავდით, ციფ ნიაგს არ გაკარებდით, გიდარაჯებდით, ტურას არ მოგპარეთ, ქორს არ გაეტაცეთ. მეც თავს ვიკავებდი, არ გადამესანსდა რომელიმე უჩრი და აბზებარი... და აჰა, ყველანი უკლებლივ აქა ხართ!

ამოცანა გვეკითხება: რამდენი წიწილი დარჩით შემოდგომაზე?

— ექვსი,—უპასუხა პირველიმა წიწილამ, რომელიმე მხოლოდ ექვსამდე იცოდა თვლა. მედამ არასწორი პასუხისათვის გადასანსდა პირველი წიწილი.

— ახლა?—მეფკითხა მედა მეორე წიწილას.

— ხუთი,—წამოიძახა მეორემ.

— არ არის სწორი!—თქვა მედამ და მეორეც გადასანსდა.

— ოთხი,—უპასუხა მესამემ. ისიც გადასანსდა.

— სამი,—დაუფიქრებლად მიუგო მეოთხემ. მეოთხეც გადასანსდა.

მეხუთემაც ვერ უპასუხა სწორად და ისიც მიაცოცა.

— ერთი ვართო,—ატორდა მეექვსე. მეექვსე გრძნობდა, რომ მედა არც მას დაინდობდა და ასეც მოხდა.

დარჩა ნაბოღარი მეშვიდე წიწილი. არხინად იჯდა სოროს კუთხეში, რადგანაც არაფერი არ იცოდა და რას უპასუხებდა?

— რამდენი დარჩითო?—ჰკითხა მედამ ნაბოღარას.

— არც ერთი,—უპასუხა მან.

ნაბოღარამ ხომ თვდა არ იცოდა?

მედას უნდოდა ისიც გადაესანსდა, მაგრამ „რაც არ იყო“, რას გადასანსადედა?

სამაგიეროდ ნაბოღარამ გადასანსდა მედა, რადგან უვეციც დატოვეს და ისიც კი არ ასწავლეს, რომ წიწილას არ უშუძლია მედა გადასანსდეს.



იუგოსლავურ საბავშვო ჟურნალ  
„პოლიტარაცკიდან“



### კურღლეუს რატომ არ აქვს კუდი?



იმ დღეს, როცა მზეცებს კულებს ურიგებდნენ, ცა მიიღრუბლა, დაიქუხა და წვიმა წამოვიდა. მაგრამ უველა მზეცი მაინც იქით მიიჭქაროდა, ხალაც კულები უნდა მიეღოთ.

კურღლევი იჯდა არხეინად სოროში და გამველე-გამომეღელს ეხვეწებოდა:

— თქვენი ჰირიმე, წამომიღეთ ჩემი კუდი, გარეთ გამოსვლა ვერ გამიხედავს, კჭუბილის მერწინია, წვიმა დამახველებს და გავცვიფდებიო.

უველა მზეცმა თავისი კუდი მიიღო. მშოშარა და ზარმაცი კურღლევი დარჩა უკუდოდ.

ახლა წუხს, მაგრამ რაღას იზამს. უკუდოდ კბეზარა ბუზების მოგერიებაც კი არ შეუძლია.

ანა ნემსაძე



აიღეთ სხვადასხვა ფერის საქარგავი ძაფი და დაწანით. დაწნული მოკე-  
ცეთ ოთხად და რომელიმე ერთი ფერის ძაფი შუაზე შემოახვიეთ. მიიღებთ  
ქრელი პეპლის ტანს.

ფრთებისთვის გამოიყენეთ ნაქერი და ფერადი ძაფებით ააქრელეთ. პეპ-  
ლის ტანს ეს ფრთები მიაწებეთ და თავთან ორი ქინძისთაფი დააბნიეთ. პეპელა,  
მინდვრის ყვავილებთან და ბალახებთან ერთად, დააკარით მწვანე ქალაღზე.

ნა მიზინაიძე

5  
საქართველოს  
სახელმწიფო

საქართველოს  
სახელმწიფო



საქართველოს  
სახელმწიფო  
სახელმწიფო  
სახელმწიფო





ИНДЕКС 76055

b.68/64

ՀԱՐՈՇԵՐՈՒ  
ՅՈՒՐՈՒՄՈՒՅՑ

